

## ლიბერალიზმი და საკუთრება

ჰანს ჰერმან ჰოპე (1949 - )



გამოჩენილი გერმანელ-ამერიკელი ეკონომისტი. გერმანიაში მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ, ჰოპე აშშ-ში გადაბარგდა, სადაც მარი როთბარდს დაემოწაფა და ლიბერტარიანიზმისა და ანარქო-კაპიტალიზმის მკვლევარი გახდა. მისი ინტერესების სფეროა კერძო საკუთრების ეთიკა, ფული და მონეტარული პოლიტიკა, პოლიტ-ეკონომია, დემოკრატია და ა.შ. ამჟამად ჰოპე ლას-ვეგასისი უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი, მიზესის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი და ჟურნალ **Journal of Libertarian Studies** გამომცემელია. ინტენსიურად მართავს ლექცია-სემინარებს სხვადასხვა ქვეყნებში და გამოირჩევა სამეცნიერო უკომპრო-მისობით.

კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა

(გამოქვეყნდა 2004 წელს)

### 1. საზოგადოებრივ წყობის წინააღმდეგობები

თავის კუნძულზე მარტოდმარტო მცხოვრებ რობინზონ კრუზოს ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რაც კი მოესურვებოდა. მის წინაშე ადამიანური ქცევის, ანუ საზოგადოებრივი თანამშრომლობის წესების დაცვის საკითხი უბრალოდ არც კი იდგა. რასაკვირველია, ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დადგა დღის წესრიგში, როდესაც კუნძულზე მეორე ადამიანი, ანუ პარასკევა გამოჩნდა. ამასთან, ამის შემდეგაც კი, საკითხი უმნიშვნელო დარჩება, ვიდრე რესურსების სიმწირე არ წარმოიქმნება. დაუშვათ, რომ ეს კუნძული ედემის ბაღია; ყველაფერი უხვად მოიპოვება და “მუქთია“, ისევე როგორც ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ. კრუზომ რანაირადაც არ უნდა ისარგებლოს ამ სიკეთით, მისი ქმედებები ვერანაირ ზეგავლენას არ მოახდენს თავად მის, ისევე როგორც პარასკევას მიმდინარე და სამომავლო უზრუნველყოფაზე. ასეთ ვითარებაში კრუზოსა და პარასკევას შორის დაპირისპირების არანაირი საფუძველი არა აქვს. დაპირისპირებას მხოლოდ რესურსების სიმწირე განაპირობებს. შესაბამისად, გარკვეული წესების დადგენა საჭირო მხოლოდ რესურსების სიმწირის

პირობებში გახდება, რაც დაპირისპირებებისგან თავისუფალ საზოგადოებრივ თანამშრომლობას შესაძლებელს გახდიდა.

ედემის ბაღში მხოლოდ ორი რამ არის განსაზღვრული რაოდენობით: ეს არის ადამიანის ფიზიკური სხეული და სივრცე, რომელსაც მისი ფიზიკური სხეული იკავებს. კრუზოს და პარასკევას ცალცალკე სხეული აქვთ და მოცემულ დროს, გარკვეული სივრცის დაკავება მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია. ამგვარად, კრუზოსა და პარასკევას შორის დაპირისპირება ედემის ბაღშიც კი შეიძლება მოხდეს: კრუზოს და პარასკევას არ შეუძლიათ, რომ ერთი და იგივე სივრცე, ერთდროულად, ფიზიკური შეხლაშემოხლის გარეშე დაიკაონ.

შესაბამისად, ედემის ბაღშიც კი, საზოგადოებრივი ქცევის წესები უნდა არსებობდეს, რომ ადამიანის ყოფისა და მოქმედებების პირობები მოგვარებული იყოს. ხოლო ედემის ბაღის მიღმა, სიმწირის საუფლოში, ისეთი წესები უნდა არსებობდეს, რომ მათი მეშვეობით არა მარტო თავად ადამიანების სხეულების და მათი ადგილ-სამყოფელი სივრცის, არამედ იმ ყველაფრის გამოყენების წესები განისაზღვროს, რისი სიმწირეც არსებობს; რომ შედეგად, ყველა შესაძლო დაპირისპირება მოგვარებადი იყოს. საზოგადოებრივი წესრიგის მთავარ საკითხს სწორედ ამ წესების განსაზღვრა წარმოადგენს.

## II. გადაწყვეტის გზა: კერძო საკუთრება და საკუთრებითი უფლებების საწყისები

საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების სხვადასხვა გზა იქნა მოსინჯული, რომელთა ურთიერთგამომრიცხავმა ხასიათმა განაპირობა მოსაზრება, რომ თითქოს ერთადერთი “სწორი“ გადაწყვეტილების მოძებნა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მე ვეცდები დავამტკიცო, რომ გამოსავალი არსებობს და ამიტომაც მორალურ რელატივიზმში გადაშვების არანაირი საფუძველი არ გვაქვს. სწორი პასუხი სულ მცირე რამოდენიმე ასეული წელია რაც ცნობილია.<sup>1</sup> თანამედროვეთა შორის ეს ძველი და მარტივი პასუხი ყველაზე უფრო ნათლად და დამაჯერებლად მარი როთბარდმა ჩამოაყალიბა.<sup>2</sup>

ნება მომეცით ამ პასუხის შინაარსის ჩამოყალიბება უპირველეს ყოვლისა ედემის ბაღის განსაკუთრებული შემთხვევის განხილვით დავიწყო და “რეალური“ სამყაროს რესურსების ყოველმხრივი სიმწირის განზოგადოებული მაგალითით გავაგრძელო, რასაც იმის განმარტება უნდა მოჰყვეს, თუ რატომ არის სწორი ეს და არა სხვა პასუხი.

ედემის ბაღში კითხვაზე პასუხს ის უბრალო წესი განაპირობებს, რომ ყველას შეუძლია საკუთარი სხეული სურვილისამებრ ამოძრაოს და გადაადგილოს იქ,

სადაც ჯერ კიდევ არავინ დგას და რომელიც არავის ეკუთვნის. ხოლო ედემის ბაღს მიღმა, რესურსების სიმწირის პირობებში გამოსავალი შემდეგში მდგომარეობს: თითოეული ადამიანი თავისი სხეულის, ისევე როგორც ყველა იმ სივრცის და ბუნების მიერ ბოძებული დოვლათის კანონიერი მფლობელია, რომელიც მან დაიკავა და საკუთარი ძალისხმევით მოიხმარა, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი სივრცე და დოვლათი მის მისვლამდე არც არავის ეკუთვნოდა და არც არავს სარგებლობაში იყო. აუთვისებელი სივრცისა და დოვლათის გარკვეული პიროვნების მიერ “პირველადი მისაკუთრება” გულისხმობს, რომ მას მათი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვისა და გარდაქმნის უფლება აქვს, იმ პირობით, რომ ის ამ ქმედებით არ ხელყოფს სხვის საკუთრებას. კერძოდ, მას შემდეგ, რაც რომელიმე ადგილსამყოფელს ან დოვლათს მესაკუთრე გამოუჩნდა და ჯონ ლოკის სიტყვებით – “თავის შრომა ჩააქსოვა“, მასზე საკუთრებითი უფლებების მიღება სხვა პიროვნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუკი მისი მფლობელი ახალ მესაკუთრეს სათანადო უფლებებს ნებაყოფლობით – შეთანხმების საფუძველზე გადასცემს.

ესოდენ გავრცელებული მორალური რელატივიზმის თვალსაზრისის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის გზად მკვიდრობის უფლებისა და კერძო მესაკუთრეობის აღიარება სრულად შეესაბამება ჩვენს მორალურ “აღლოს”. მართლაც და უგუნური არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ადამიანი არ უნდა იყოს საკუთარი სხეულის, აგრეთვე იმ სივრცისა და დოვლათის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი, რომელსაც ის სხვებზე ადრე დაეპატრონა, აითვისა და ან შექმნა საკუთარი ძალისხმევით? თუ ის არა, აბა სხვა ვინ უნდა იყოს მესაკუთრე? ამასთან, განა ნათელი არ არის, რომ ადამიანების უმრავლესობა, მათ შორის ბავშვები და პირველყოფილი ადამიანებიც კი, სინამდვილეში სწორედ ამ წესებით ხელმძღვანელობენ, მიხედავად იმისა, რომ ამას რასაკვირველია გაუცნობიერებლად აკეთებენ?

მორალური აღლო, რარიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის, საკმარის მტკიცებულებას მაინც არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მორალური აღლოს ჭეშმარიტების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არსებობს.

ასეთი მტკიცებულებები ორმაგი ხასიათისაა. ერთი მხრივ, მკვიდრობის უფლებისა და კერძო მესაკუთრეობის უარყოფას შემდეგი შედეგები მოსდევს: თუკი A ადამიანი არ იქნებოდა თავისი სხეულის, აგრეთვე იმ სივრცისა და დოვლათის მესაკუთრე, რომელსაც ის სხვებზე ადრე დაეპატრონა, აითვისა და ან შექმნა საკუთარი ძალისხმევით, ისევე როგორც ყოველივე იმის მფლობელი, რაც მან სხვა მეპატრონეებისგან ნებაყოფილობითი გარიგების გზით მიიღო, მაშინ მხოლოდ ორი არჩევანი იარსებებდა: ან A ადამიანის სხეულის, აგრეთვე

იმ სივრცისა და დოვლათის მესაკუთრედ, რომელიც მან აითვისა, შექმნა ან შეიძინა, სხვა, მაგალითად, B ადამიანი უნდა იქნეს აღიარებული, ან ორივე პიროვნება ერთად, ანუ როგორც A, ასევე B თანაბრად უნდა იქნენ მიჩნეული მათი სხეულების, სივრცეებისა და დოვლათის თანამფლობელებად.

პირველ შემთხვევაში, A ადამიანი B ადამიანის მონად და მისი მხრიდან ჩაგვრის საგნად გადაგვარდებოდა. B ადამიანი A ადამიანის სხეულის, აგრეთვე იმ სივრცისა და დოვლათის მესაკუთრე გახდება, რომელიც ამ უკანასკნელმა აითვისა, შექმნა ან შეიძინა, მაგრამ ამავედროულად, A ადამიანი არ იქნებოდა B ადამიანის სხეულის, აგრეთვე იმ სივრცისა და დოვლათის მესაკუთრე, რომელიც ამ უკანასკნელმა აითვისა, შექმნა ან შეიძინა. შესაბამისად, ასეთი წყობის პირობებში ადამიანთა ორი ფენა იარსებებდა, რომლებზედაც სხვადასხვა წესები გავრცელდებოდა – მართულები, ანუ ისეთები, როგორიცაა A და მმართველები, როგორიცაა B. შესაბამისად, ასეთი წყობა უარყოფილი უნდა იქნეს, რადგანაც ეთიკური კანონები ყველა ადამიანზე, როგორც მოაზროვნე არსებაზე თანაბრად ვრცელდება. იმთავითვე მიიჩნევა, რომ ყველა მსგავსი წყობა ყველასთვის მისაღები არ არის და შესაბამისად, ვერც კანონი საფუძვლად გამოდგება. იმისთვის, რომ გარკვეული წესი კანონად, ანუ სამართლიან სახელმძღვანელოდ იქცეს, აუცილებელია, რომ ის ყველა ადამიანზე თანაბრად და ერთგვაროვნად ვრცელდებოდეს.

პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, მეორეში, სადაც საყოველთაო და თანასწორი თანამფლობელობაა, მოთხოვნა, რომ გარკვეული წესი ყველაზე ერთნაირად ვრცელდებოდეს შესრულებული იქნება. მაგრამ ეს მიდგომა კიდევ უფრო დიდ ხარვეზსს მოიცავს, რადგან მისი განხორციელების შედეგად კაცობრიობა დაუყოვნებლივ დაიღუპებოდა. (შესაბამისად, რამდენადაც ადამიანური ეთიკა მიზნად კაცობრიობის გადარჩენას უნდა ისახავდეს, ეს არჩევანიც არ არის მისაღები). ადამიანის ნებისმიერი ქმედება მწირი რესურსების (სულ ცოტა ადამიანის სხეულისა და მის ადგილ-სამყოფელის) გამოყენებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ მთელი დოვლათი ყველა ადამიანის თანამფლობელობაში იქნებოდა, მაშინ არავის, არასოდეს და არსად არ ექნებოდა უფლება რაიმე გაეკეთებინა მანამდე, სანამ ყველა თანამესაკუთრის თანხმობას არ მიიღებდა. თუმცა როგორ შეიძლება, რომ ვინმემ ასეთი თანხმობა გასცეს, თუკი თავად არ წარმოადგენს ამგვარი ქმედებისთვის აუცილებელი თავისივე სხეულის (მათ შორის თავისი ხმის სიმების) ერთპიროვნულ მფლობელს? ანუ გამოდის, რომ საკუთარი თანხმობის დასადასტურებლად, ადამიანს თავად სჭირდება სხვების ნებართვა, მაგრამ თანხმობას ვერც სხვები გასცემენ მანამ, სანამ ჯერ მისგან არ მიიღებდნენ ასეთ ნებართვას და ასე გაგრძელდება უსასრულოდ.

„უნივერსალური კომუნიზმის“ პრაქსეოლოგიური შეუძლებელობის არსის ამგვარმა ხედვამ, როგორც ამას მარი როთბარდი მოიხსენიებდა, მიბიძგა, რომ მკვიდრობის უფლებისა და კერძო საკუთრების, როგორც საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგობების გადაწყვეტის ერთადერთ სწორი გზა, განსხვავებულად წარმოვაჩინო.<sup>3</sup> მხოლოდ სათანადო დასაბუთების (მოსაზრებების ურთიერთგაცვლის) შედეგად შეიძლება დაგინდეს ის, აქვთ თუ არა ადამიანებს რაიმე უფლებები და თუ აქვთ, კერძოდ რომელი? გამართლება, ისევ როგორც მტკიცებულება, ვარაუდი და უარყოფა, თანმიმდევრულ დასაბუთებას გულისხმობს.

ნებისმიერი, ვინც ამ მოსაზრებას უარყოფს, საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება, რადგან უარყოფა თავისთავად გულისხმობს ახსნა-განმარტებას. ეთიკური რელატივისტიც კი იძულებული იქნება მიიღოს ეს პირველადი მოსაზრება, როგორც აპრიორი მტკიცებულება შემდგომი დასაბუთებებისთვის.

დასაბუთების აპრიორულობის, მისი აქსიომატური სტატუსის უეჭველი აღიარებიდან ორი დასკვნა გამომდინარეობს. პირველი მათგანი თავად დასაბუთების აპრიორულობიდან გამომდინარეობს, როდესაც რესურსების სიმწირით გამოწვეული წინააღმდეგობების გადაწყვეტის გონივრული გზა არ არსებობს. ვივარაუდოთ, რომ კრუზოსა და პარასკევას ჩემს მიერ უკვე ხსენებულ მაგალითში, პარასკევა არა ადამიანის, არამედ გორილას სახელია. ნათელია, რომ კრუზოს თავის სხეულსა და ადგილ-სამყოფელთან დაკავშირებით შესაძლოა ისეთივე წინააღმდეგობები ჰქონოდა გორილა პარასკევასთან, რაც ადამიან პარასკევასთან. გორილას შეიძლება იმავე ადგილას დგომა მოუნდეს, სადაც უკვე კრუზო დგას. ასეთ შემთხვევაში, რადგანაც გორილა ცხოველია, ამ წინააღმდეგობის გონივრული გზით მოგვარება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, ან გორილა გააგდებდა, გათელავდა ან შეჭამდა კრუზოს, რაც წინააღმდეგობის გადაწყვეტის გორილასეული გზა იქნებოდა, ან კრუზო მოახერხებდა გორილას მოთვინიერებას, გაძევებას, ცემას ან მოკვლას, რაც კრუზოსეული გამოსავალი იქნებოდა. მოცემულ მაგალითში, მავანმა შესაძლოა მართლაც მორალური რელატივიზმი დაინახოს. თუმცა, ალბათ უფრო შესაფერისი იქნებოდა, რომ ეს მაგალითი ერთ-ერთ ისეთ შემთხვევად განგვეხილა, როდესაც სამართლიანობისა და გონივრულობის საკითხი საერთოდ არ წამოიჭრება. ანუ, ეს არის შემთხვევა, რომელიც მორალის ფარგლებს სცილდება. გორილა პარასკევას არსებობა კრუზოს არა მორალურ, არამედ ტექნიკურ უხერხულობას უქმნის. მას გორილას მოძრაობაზე თვალყურის მიდევნებისა და მისი დამორჩილების გზების ათვისების გარდა სხვა გამოსავალი არ დარჩება,

ისევე, როგორც ის იძულებულია, რომ მის გარშემო არსებული უსულო საგნები შეისწავლოს და დაიმორჩილოს.

შესაბამისად, მავანს მორალურ წინააღმდეგობაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეეძლება, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთთან მტკიცებულებების მოყვანის უნარი აქვთ და გამოსავლის არსებობა-არარსებობის საკითხი განსჯის საგანი ხდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პარასკევას თავისი გარეგნობის მიუხედავად, მტკიცებულებების ჩამოყალიბება შეეძლება (მაშინაც კი, თუკი მან ეს უნარი მხოლოდ ერთხელ გამოავლინა), ის მოაზროვნე ქმნილებად შეიძლება იქნეს მიჩნეული და საზოგადოებრივ წყობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის გზების აუკარგიანობის გარკვევის საკითხი აზრს შეიძენს.

არავისგან არ არის მოსალოდნელი პასუხი კითხვაზე, რომელიც მავანს არ დაუსვამს, მითუმეტს თუკი მას თავისი რელატივისტური თვალსაზრისი მტკიცებულებების სახით არასოდეს ჩამოუყალიბებია. ასეთ ვითარებაში, იმ „სხვას“ ვერ მივიჩნევთ და ვერ მოვექცევით სხვაგვარად, ვიდრე როგორც ცხოველს ან მცენარეს, ანუ მორალის ფარგლებს გარეთ მყოფ არსებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „სხვა“ თავის საქმიანობას შეაჩერებს, რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს იგი, ჩაფიქრდება და „ღიასს“ ან „არას“ უპასუხებს კითხვის დამსმელს, ჩვენც ვაღიარებთ ვხდებით, რომ გარკვეული პასუხი გავცეთ მას და შესაბამისად, შეგვეძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ პასუხი სწორია ორივე დაპირისპირებულ მხარისთვის.

გარდა ამისა, დასაბუთების აპრიორულობიდან გამომდინარეობს, რომ ყველაფერი, რაც დასაბუთებისას წინასწარ უნდა იყოს ნავარაუდები, როგორც ლოგიკური და პრაქსიოლოგიური წინაპირობა, ვერ იქნება დასაბუთებულად უარყოფილი თუ ის შინაგანი წინააღმდეგობაში არ არის ჩაფლული.

ამგვარად, მოსაზრებების ურთიერთგაცვლა შეხედულებების უმისამართო ნაკადიდან ადამიანთა განსაზღვრულ საქმიანობად გარდაიქმნება. კრუზოსა და პარასკევას შორის მოსაზრებების ურთიერთგაცვლა გულისხმობს, რომ ორივე მათგანს თავთავიანთ სხეულზე (გონებაზე, ხმის სიმებზე და ა.შ) და ადგილსამყოფელ სივრცეზე ურთიერთ აღიარებული საგანგებო უფლება გააჩნია. არავის არ შეუძლია ვინმეს რაიმე შესთავაზოს და მოელოდოს, რომ ის დაეთანხმება ან უარყოფს მისი წინადადებას და საკუთარ განსხვავებულ წინადადებას წამოაყენებს, თუკი წინასწარ ნავარაუდები არ იქნებოდა, რომ მას და მის მოპასუხეს თავთავიანთი სხეულებსა და მათ ადგილ-სამყოფელზე საგანგებო უფლება აქვთ. სინამდვილეში, ყოველგვარი კამათის characteristicum specificum-ს (თავისებურებას) სწორედ ის გარემოება წარმოადგენს, რომ მოდავე მხარეები თავთავიანთ სხეულებსა და ადგილ-სამყოფელ სივრცეზე

ერთმანეთის უფლებას აღიარებენ: შესაძლებელია მავანი არ დაეთანხმოს გამოთქმულ მოსაზრებას, თუმცა მას შეუძლია აღიაროს, რომ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს. მეტიც, სხეულსა და ადგილ-სამყოფელზე საკუთრებითი უფლებები მოდავე მხარეების მიერ აპრიორულად (ანუ უდავოდ) უნდა იყოს აღიარებული. ნებისმიერი ვინც მოწინააღმდეგის საპირისპიროდ თავისი მოსაზრების ჭეშმარიტებას ქადაგებს, მისი და მოდავის მიერ თავთავიანთ სხეულებსა და ადგილ-სამყოფელ სივრცეზე საგანგებო უფლების არსებობას ვარაუდობს, იმ უბრალო მიზნით, რომ თითოეულს ქონდეს უფლება განაცხადოს „მე ვთვლი, რომ ჭეშმარიტება ამასა და ამამია, ხოლო თუ ვტყუი – დამისაბუთეთო“.

გარდა ამისა, ასევე შეუძლებელი იქნებოდა კამათში ჩაბმა და მხოლოდ საკუთარ მტკიცებულებების ძალაზე დაყრდნობა, თუკი მოწინააღმდეგე მხარეს საკუთარ სხეულისა და ადგილ-სამყოფელის გარდა სხვა რესურსების ერთპიროვნული ფლობისა და განკარგვის უფლება არ ექნებოდა. თუკი მავანს ამგვარი უფლება არა აქვს, მაშინ ჩვენ დაუყოვნებლივ დავიღუპებოდით და სამართლიანი წესების დადგენის საკითხი, ისევე როგორც მრავალი სხვა საკაცობრიო საჭმუნავი, უბრალოდ არ იარსებებდა. შესაბამისად, თავად სიცოცხლის არსებობა განაპირობებს, რომ საკუთრებითი უფლებები წინასწარ უნდა იყოს აღიარებული. ვერც ერთი სულდგმული საწინააღმდეგოს ვერ დაასაბუთებს.

ამასთან, თუ პიროვნებას თავდაპირველი დაპატრონების გზით ხელმისაწვდომ დოვლათსა და ადგილ-სამყოფელ სივრცეზე საკუთრების უფლება არ ექნება, რაც მას და განსაზღვრულ საგანს და ან ადგილ-სამყოფელ სივრცეს შორის ობიექტური (საყოველთაოდ აღიარებული) კავშირის ნებისმიერ სხვაზე უფრო ადრე დამყარებას გულისხმობს და თუ ამის ნაცვლად, დოვლათი და ადგილ-სამყოფელი სივრცე მოგვიანებით მისულის მიეკუთვნება, მაშინ არავის ექნება რაიმე საგნით სარგებლობის უფლება მომდევნო ადამიანის თანხმობის გარეშე. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ მოგვიანებით მისულმა წინამორბედს უფლება მისცეს? უფრო მეტიც, ყოველმა შემდგომ მოსულმა, თავის მხრივ, თანხმობა მომდევნოსგან უნდა მიიღოს და ასე უსასრულობამდე. ამ წესით რომ ვხელმძღვანელობდეთ, ვერც ჩვენ და ჩვენი წინაპრები გადავრჩებოდით და ვერც ჩვენი შთამომავლები იარსებებენ. თუმცა, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად, ნებისმიერ ადამიანს გადარჩენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ხოლო ამისთვის, საკუთრების უფლება შეუძლებელია ჩასახულიყო, როგორც რაღაც განყენებული და ზოგადი მოვლენა ადამიანებთან მიმართებაში; მეტიც, საკუთრების უფლება უნდა განიხილებოდეს, როგორც სავსებით განსაზღვრულ დროსა და სივრცეში გარკვეული ადამიანის

მოქმედების შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროისა და სივრცის გარკვეულ მონაკვეთში სიტუაცია ვერავინ ამოიღებდა და ვერც ვერავინ შეეპასუხებოდა.

შესაბამისად, სიმარტივისთვის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კერძო მესაკუთრეობის ეთიკაში პირველმოსარგებლის-მკვიდრობის წესის უარყოფა ან მიუღებლობა შინაგან წინააღმდეგობას წარმოშობს, რამეთუ ძავანის მიერ ამის მტკიცებაც კი, თავად მისი, როგორც მოცემულ დროსა და სივრცეში მომქმედი დამოუკიდებელი მოაზროვნის არსებობის ნიშანი და დადასტურებაა.

### III. მცდარი წარმოდგენები და მათი გაქარწყლება (გაუგებრობები და განმარტებები)

კერძო საკუთრების აღნიშნული გაგებიდან გამომდინარე, მესაკუთრეობა განსაზღვრული პიროვნების მიერ გარკვეული საგნებისა და სივრცის ერთპიროვნულ განმგებლობას გულისხმობს.

ამის საპირისპიროდ, ქონებრივი უფლების დარღვევა სხვა პირის მფლობელობაში არსებული საგნებისა ან სივრცეების უნებართვო ხელყოფას ნიშნავს.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ამ მიდგომისგან განსხვავებულია და ვისიმე საკუთრების ღირებულების (ან ფასის) დაზიანებას ან შემცირებას დასჯად სამართალდარღვევად მიიჩნევს.

ამ ორი მიდგომის შეთავსებლობა სავსებით ცხადია. ადვილი მისახვედრია, რომ ადამიანის თითქმის ყოველ ქმედებას შეუძლია სხვისი საკუთრების ღირებულებაზე (ფასზე) გავლენის მოხდენა. ასე მაგალითად, როდესაც A ადამიანი შრომით ბაზარზე გადის, ან ქორწინდება, ამით შეიძლება B ადამიანის დასაქმებასა და ქორწინებაზე იქონიოს გავლენა. ხოლო, როდესაც A ადამიანი ლუდისა და პურის მოხმარებისადმი თავის დამოკიდებულებას გადააფასებს, ან თუ თავად გადაწყვეტს, რომ მელუდე ან მეპურე გახდეს, ამ ქმედებით ის სხვა მელუდეებისა ან მეპურეების საკუთრების ღირებულებაზე მოახდენს ზეგავლენას. თუ ჩვენ იმ აზრს გავიზიარებთ, რომ ღირებულების შეცვლა სამართალდარღვევას წარმოადგენს, მაშინ A ადამიანი დანაშაულს ჩადის მელუდეებისა ან მეპურეების მიმართ და იგი უნდა დაისაჯოს. თუ A ადამიანი დამნაშავეა, მაშინ B ადამიანს, ისევე როგორც სხვა მელუდეებს ან მეპურეებს A ადამიანის ქმედებებისგან თავდაცვის უფლება უნდა გააჩნდეთ და ეს მხოლოდ A ადამიანის პიროვნებისა და საკუთრების ხელყოფით არის შესაძლებელი. B ადამიანმა A ადამიანს შრომის ბაზარზე გასვლა და დაქორწინება ძალის გამოყენებით უნდა დაუშალოს, ხოლო მელუდეები და მეპურეები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, რომ A ადამიანს საკუთარი ფულის

თავისივე გემოვნებით განკარგვა ძალის გამოყენებით შეუზღუდონ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგეების საკუთრების დაზიანება ან გაუფასურება დანაშაულად არ განიხილება, რადგანაც მათ თავდაცვითი ხასიათი აქვთ და ამდენად, სამართლებრივად გამართლებულია.

მაგრამ, თუ საკუთრების ხელყოფა ან გაუფასურება უფლებების დარღვევას წარმოადგენს, მაშინ B ადამიანს, ისევე როგორც მელუდეებს და მეპურეებს არა აქვთ A ადამიანის ქმედებებისგან თავდაცვის უფლება, რადგან ამ ქმედებებით, ანუ შრომის ბაზარზე გასვლით და ქორწინებით, ლუდისა და პურის მოხმარების შეცვლით, ან ლუდისა ან პურის წარმოების წამოწყებით, არც B ადამიანის სხეულს ადგება ზიანი და არც მელუდეებისა და მეპურეების ქონებას. თუმცა, თუკი ისინი თავს ძალის გამოყენებით დაიცავენ, მაშინ თავდაცვის უფლება A ადამიანსაც გაუჩნდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მისი ქმედება დასჯადი აღარ არის, თუნდაც ეს სხვების ქონების ღირებულებაზე ახდენდეს გავლენას. სხვა შესაძლებლობა არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების შესახებ ეს ორი მოსაზრება არა მხოლოდ არათავსებადია. განსხვავებული მოსაზრება, რომ მავანი შესაძლებელია მწირი რესურსების ღირებულების ან ფასის მფლობელი იყოს, უსაფუძვლოა. ადამიანს შეუძლია, რომ სხვის საკუთრებაზე საკუთარ ფიზიკურ ზემოქმედებას ანგარიში მეტნაკლებად მაინც გაუწიოს, მაგრამ მას არ ძალუძს ზეგავლენა იქონიოს იმაზე, ცვლის თუ არა მისი ქმედებები სხვა ადამიანების საკუთრების ღირებულებას. მათი ღირებულება სხვა პიროვნებების შეფასებებით ყალიბდება. შესაბამისად, წინასწარ იმის ცოდნა, თუ რამდენად კანონიერი იყო მავანის ქმედებები შეუძლებელია. მთელი მოსახლეობის გამოკითხვა იქნება საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ მავანის ქმედებები რომელიმე პიროვნების საკუთრების ღირებულებას ზიანს არ მიაყენებს და ადამიანი ვერაფერს ვერ მოიმოქმედებს, სანამ საყოველთაო შეთანხმება არ მიიღწევა.

კაცობრიობა დიდი ხნის გადაშენებული იქნებოდა, ეს ვარაუდი როდესმე რომ განხორციელებულიყო. მეტიც, იმის მტკიცება, რომ მავანს საგნების ღირებულებაზე საკუთრებით უფლება გააჩნია თავისთავად წინააღმდეგობრივია, რადგანაც იმისთვის, რომ ამ მოსაზრების მართებულობა დაამტკიცო, უნდა ივარაუდო, რომ ყველას გააჩნია უფლება იმოქმედოს მანამდე, სანამ შეთანხმება მიღწეული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსაზრებასაც ვერავინ გამოთქვამდა. მაგრამ თუ ადამიანს მოსაზრების გამოთქმის უფლება აქვს და არავის არ შეუძლია მისი უარყოფა ისე, რომ თავის თავთან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს, მაშინ ასეთი რამ მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ფიზიკური საკუთრების საზღვრები არსებობს.

ე.ი. საზღვრები, რომელთა ცნობა და დაადგენა სხვებისგან დამოუკიდებლად, მათი პირადი შეფასებების სრული უგულვებელყოფით, ნებისმიერს შეუძლია.<sup>5</sup>

კიდევ ერთი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მცდარი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული ქმედებების დახარისხება დასაშვებ და დაუშვებელ ქმედებებად მხოლოდ მათი ფიზიკური კუთვნილების საფუძველზე ხდება. ანუ, იმის გაუთვალისწინებლად, რომ ყოველ საკუთრების უფლებას თავისი წინაისტორია (წარმომავლობა) გააჩნია.

ვითარება, როდესაც A ადამიანი B ადამიანის საკუთრებას ფიზიკურ ზიანს აყენებს (მაგალითად, ჰაერის დაბინძურებით ან ხმაურით), იმისდა მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ ვისი საკუთრებითი უფლებები განისაზღვრა უფრო ადრე. თუკი პირველად A ადამიანის ქონებრივი უფლება განისაზღვრა და შესაბამისი საქმიანობასაც იმაზე ადრე მისდევს, ვიდრე B ადამიანის ქონებრივი უფლება განისაზღვრა, მაშინ მას თავისი საქმიანობის გაგრძელება შეუძლია.

B ადამიანმა ქონება ისეთ ადგილზე შეიძინა, სადაც თავიდანვე დაბინძურებული ჰაერი ან ხმაური იყო, ხოლო თუ მას სურს, რომ ქონება წყნარ და სუფთა გარემოში იქონიოს, მაშინ მან ამ უფლების მოსაპოვებლად A ადამიანს სათანადო საზღაური უნდა გადაუხადოს. და პირიქით, თუ ჯერ B ადამიანის საკუთრებითი უფლებები განისაზღვრა, მაშინ A ადამიანმა თავისი საქმიანობა უნდა შეწყვიტოს ან თუკი მას ამის გაკეთება არ სურს, მაშინ შესაბამისი უფლება B ადამიანისგან უნდა გამოისყიდოს.

სხვა სახელმძვანელო წესის შემოღება შეუძლებელი და არასწორი იქნებოდა, რადგანაც მანამ სანამ ადამიანი ცოცხალია და არსებობს, მას არ შეუძლია, რომ არ იმოქმედოს. ნებისმიერ ადამიანი, რომელიც პირველად დაეპატრონა რესურსს, ძალიანაც რომ უნდოდეს, მის შემდეგ მოსულ ადამიანს და მის თანხმობას ვერ დაელოდება. მას მოქმედების შესაძლებლობა იმთავითვე უნდა ჰქონდეს. ხოლო თუკი პირველად მისული ადამიანის გარდა საკუთრებას არავინ ფლობს (რადგანაც სხვა ადამიანი ჯერ არ გამოჩენილა), მაშინ მის მოქმედებებს მხოლოდ ბუნების კანონები ზღუდავენ.

მოგვიანებით მისულს მხოლოდ მაშინ შეუძლია წინამორბედს მოედლოს, თუ ამ უკანასკნელის ქმედებები ზიანს მის საკუთრებას აყენებენ. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მოგვიანებით მისული იმის მფლობელი შეიძლება იყოს, რაც პირველს არ მიუთვისებია. ე.ი. ეს ადამიანი შეიძლება იმის მფლობელი გახდეს, რაც ჯერ არ აღმოუჩენიათ ან მიუთვისებიათ ფიზიკური ძალისხმევით. ეს გულისხმობს, რომ არავინ იზღუდება, რომ მანამდე უცნობ და აუთვისებელ ერთეულებს დაეპატრონოს.

#### IV. კერძო საკუთრების ეკონომიკური საფუძვლები

კერძო საკუთრების იდეა არა მხოლოდ შეესაბამება ჩვენს მორალურ ინტუიციასთან, არამედ იგი საზოგადოებრივი წყობისა და წინააღმდეგობების მოგვარების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს. კერძო საკუთრების ინსტიტუტი ეკონომიკური აღმავლობისა და „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ საფუძველს წარმოადგენს. თუკი ადამიანები კერძო საკუთრების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესებს იცავენ, საზოგადოებრივი კეთილდღეობა იზრდება.

დამკვიდრების თითოეული შემთხვევა მეპატრონის კეთილდღეობას ზრდის (ex ante, ანუ ვარაუდის დონეზე მაინც), წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება არც კი განხორციელდებოდა. იმავედროულად, ამ ქმედებით ზიანი არავის არ ადგება. შეიძლება, რომ ნებისმიერი სხვა ადამიანი გამხდარიყო იგივე დოვლათისა ან სამკვიდროს მფლობელი, თუკი გააცნობიერებდა მათ იშვიათობას და შესაბამისად, ფასეულობას. მაგრამ რადგანაც სხვას არავის მიუსაკუთრებია, შესაბამისად ამის შედეგად არავის შეეძლო, რომ ეზარალა. შესაბამისად, ეგრეთ წოდებული პარეტოს პირობა (რომლის მიხედვით, „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ ზრდაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მეცნიერულად გამართლებული, როდესაც გარკვეული ცვლილების შედეგად თუნდაც ერთი ადამიანის ყოფა უმჯობესდება, ხოლო სხვების მდგომარეობა არ უარესდება) შესრულებულია. თავდაპირველი დაპატრონების ნებისმიერი შემთხვევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. იგი ისე ზრდის ერთი ადამიანის, ანუ მესაკუთრის კეთილდღეობას, რომ სხვების დოვლათს (საკუთრებას) არ ხელყოფს. ყველას ისეთივე რაოდენობის საკუთრება რჩება, რაც მანამდე გააჩნდა, ხოლო მიმთვისებელი ახალ, მანამდე არარსებულ ქონებას იძენს. შესაბამისად, დამკვიდრება ყოველთვის ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ასეთი გზით მიმთვისებელი დოვლათისა და სამკვიდროს შემდგომი გამოყენება ასევე ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მიუხედავად იმისა თუ როგორ იყენებს ის მას, ის მოწოდებულია, რომ მის კეთილდღეობა გაზარდოს. ეს მართებულია, მაშინაც როდესაც ადამიანი ამ საკუთრებას თავად მოიხმარს და მაშინაც, როდესაც ადამიანი ახალ ქონებას „ბუნების ძღვენისგან“ ქმნის. ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია წარმოებისკენ განპირობებულია მწარმოებლის სურვილით, რომ ნაკლებად ღირებული საკუთრება უფრო ღირებულ საკუთრებად გადააქციოს. თუ წარმოება და მოხმარება არ იწვევს სხვა ადამიანთა მფლობელობაში მყოფი ქონების ფიზიკურ დაზიანებას ან შემცირებას, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება.

და ბოლოს, მითვისებული (მოპოვებული) ან წარმოებული ქონების ერთი მესაკუთრიდან მეორეზე ნებაყოფლობით გაცვლის და ან გადაცემის ყოველი შემთხვევა საზოგადოებრივ კეთილდღეობას აუმაჯობესებს. საკუთრების გაცვლა შესაძლებელი მხოლოდ მაშინ არის, თუ ორივე მფლობელი უპირატესობას ანიჭებს იმას, რასაც მიიღებენ იმაზე, რასაც გაცემენ და ამდენად, გაცვლიდან სარგებელს ელიან. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი გაცლებიდან ორივე ადამიანი მოგებაში რჩება, ხოლო თითოეულის საკუთრებითი უფლებები ხელშეუხებელი რჩება.

ზემოთაღწერილი ვითარების სრულიად საპირისპიროდ, კერძო საკუთრების ინსტიტუტიდან ნებისმიერი გადახვევა საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებას გამოიწვევს.

საყოველთაო და თანასწორუფლებიანი თანამფლობელობის, ანუ კერძო მესაკუთრეობის ნაცვლად უნივერსალური (ყოვლისმომცველი) კომუნიზმის დამკვიდრების შემთხვევაში, საფასური, რომლის გაღებაც კაცობრიობას მოუწევდა, დაუყოვნებელი გადაშენება იქნებოდა, რადგანაც საყოველთაო თანამფლობელობა ნიშნავს, რომ არავინ იქნებოდა უფლებამოსილი რაიმე ეკეთებინა ან სადმე წასულიყო. კერძო მესაკუთრეობიდან ყოველი გადახვევა ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას ნიშნავს, რომელიც უთანასწორობას და ჰეგემონიას დაამკვიდრებს. ანუ, ეს ისეთი წყობა იქნებოდა, სადაც ერთ პიროვნებას ან ადამიანთა ჯგუფს, ანუ მმართველებს, მჩაგვრელებს ან ზეადამიანებს, შესაძლებლობა ექნებოდათ საკუთრება არა თავდაპირველი დაპატრონების ან გაცვლის შედეგად შეეძინათ, არამედ სხვების ექსპლუატაციის ხარჯზე, ხოლო სხვა პიროვნებას ან ადამიანთა ჯგუფს, ანუ მართულებს, ჩაგრულებს ან არასრულფასოვან არსებებს, ამის კეთება შეზღუდული ექნებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ჰეგემონიის დამყარება შესაძლებელია, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუარესებას და შედარებით გაღარიბებას (გაუდმერთებას, გაუკუდმართებას) იწვევს.

თუ A ადამიანს უფლება აქვს მიისაკუთროს ის დოვლათი ან სამკვიდრო, რომელიც გარეგნული ნიშნებით B ადამიანს ეკუთვნის, მაშინ A ადამიანის კეთილდღეობა B ადამიანის მდგომარეობის შესაბამისი გაუარესების ხარჯზე იზრდება. პარეტოს პირობა არ სრულდება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა არასრულფასოვანია. იგივე ვრცელდება ნებისმიერის სახის ჰეგემონიური მმართველობაზე. თუკი A ადამიანი B ადამიანს იმ ბუნებრივი რესურსის ათვისებას უკრძალავს, რომელიც მანამდე არავის არ ეკუთვნოდა; თუკი A ადამიანს B ადამიანის ნაწარმის უნებართვო მითვისება შეუძლია; თუკი A ადამიანს B ადამიანისთვის იმის განსაზღვრა შეუძლია, თუ როგორ გამოიყენოს

მის მიერ ათვისებული ან შექმნილი დოვლათი (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მავანს სხვისი საკუთრების ხელყოფა ეკრძალება), ყოველთვის არსებობს „მოგებული“, ანუ A ადამიანი და „წაგებული“ - B ადამიანი. ნებისმიერ შემთხვევაში A ადამიანის ხელთ არსებული ქონება იზრდება, B ადამიანის შესაბამისი ქონებრივი ზარალის ხარჯზე. პარეტოს პირობა არც ერთ შემთხვევაში არ სრულდება და შედეგად საზოგადოებრივი კეთილდღეობა ვერასოდეს ვერ აღწევს სრულყოფილებას.

გარდა ამისა, ჰეგემონია და ექსპლუატაცია შემდგომი წარმოების შემცირებას იწვევს. ნებისმიერი სამოქმედო წესი, რომელიც ათვისებულ, წარმოებულ ან ნავაჭრ დოვლათზე, იმათ ნაწილობრივ ან სრულ ზედამხედველობას აწესებს, ვისაც მოცემული დოვლათი არ ათვისებია, არ უწარმოებია ან არ შეუძენია, აუცილებლად ზღუდავს სამომავლო ათვისებას, წარმოებასა და ურთიერთხელსაყრელ ვაჭრობას. იმ ადამიანს, რომელიც აღნიშნულ საქმიანობებს მისდევს, თითოეული მათგანზე გარკვეული ხარჯის გაღება უწევს, რაც ჰეგემონიური წყობის პირობებში კიდევ უფრო იზრდება, მაშინ როდესაც იმათი ხარჯი, ვინც არ არის დაკავებული აღნიშნული საქმიანობებით – კლებულობს. მიმდინარე მოხმარება და გართობა, წარმოებასთან, ანუ სამომავლო მოხმარებასთან შედარებით უფრო მიმზიდველი ხდება, რის შედეგადაც მწარმოებლურობა იმაზე უფრო შემცირდება, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა. ხოლო ის გარემოება, რომ მმართველებს საკუთარი სიმდიდრის გაზრდა სხვების მიერ ათვისებული, წარმოებული ან გარიგებით შეძენილი ქონების მითვისების ხარჯზე შეუძლიათ, მათ შესაბამისი დოვლათის უყაირათოდ ფლანგვისკენ უბიძგებს. იმის გამო, რომ მმართველები უფლებოსილნი არიან თავიანთი სიმდიდრე მომავალში სხვების ქონების მითვისების გზით (მაგ. გადასახადებით) შეავსონ, ხელი მედღევეობასა და მოხმარებას (დროში მაღალი უპირატესობის მინიჭებას) ეწყობა, ხოლო რამდენადაც ისინი ამ შესაძლებლობას სათავისოდ სავსებით „ნაყოფიერად“ იყენებენ, ბუნებრივია, რომ რესურსების არასწორი მართვის, არასწორი გათვლებისა და სამეურნეო ზარალის შემთხვევები მუდმივად იზრდება.

## V. კლასიკური მიდგომის წარმომავლობა

როგორც თავიდანვე აღინიშნა, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები კერძო საკუთრების ეთიკისა და ეკონომიკის შესახებ არავითარ სიახლეს არ შეიცავს. პირიქით, იგი იმ „კლასიკური“ ტრადიციის თანამედროვე გამოხატულებას უფრო წარმოადგენს, რომლის საფუძვლები არისტოტელედან, რომაული

სამართლიდან, თომა აქვინელის, ესპანელი სქოლასტიკოსების, გროტიუსის და ლოკის მოძღვრებებიდან მოდის.<sup>6</sup>

პლატონის „რესპუბლიკის“ კომუნისტური უტოპიისგან განსხვავებით, არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ კერძო საკუთრების შედარებითი უპირატესობების თანმიმდევრულ ჩამონათვალს იძლევა. უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრება უფრო ნაყოფიერია. „ის, რაც მრავალი ადამიანის ერთობლივ საკუთრებაშია, ყველაზე ნაკლებადაა მოვლილი. ადამიანები ყველაზე მეტ ყურადღებას იმას უთმობენ, რაც მათ ეკუთვნით და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რაც საზოგადოა. ან თუ მაინც ზრუნავენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თითოეულ მათთაგანს პირადად ეხება. მაშინაც კი, როდესაც უყურადღებობის სხვა მიზეზი არ არსებობს, ადამიანები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას თავს მაინც აარიდევენ, თუკი ფიქრობენ, რომ მათი საქმე შეიძლება სხვამ გააკეთოს.“<sup>7</sup>

მეორე: კერძო საკუთრება დაპირისპირებების არიდებასა და მშვიდობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. მაშინ, როდესაც ადამიანებს თავთავიანთი საზრუნავი გააჩნიათ, „დაპირისპირებების ნაკლები საფუძველი არსებობს, რადგანაც ყოველი ადამიანი იგრძნობს, რომ ამისთვის ის თავად უნდა დაიხარჯოს“<sup>8</sup>. „მართლაც, დაკვირვება ნათელყოფს, რომ მათ, ვისაც საერთო საკუთრება გააჩნიათ და მის მმართველობასაც ინაწილებენ, ბევრად უფრო მეტი უთანხმოება აქვთ, ვიდრე იმათ, ვისი საკუთრებაც გამიჯნულია“<sup>9</sup>. გარდა ამისა, კერძო საკუთრება ყოველთვის და ყველგან არსებობდა, მაშინ როდესაც კომუნისტური უტოპიები თავისთავად არსად აღმოცენებულა. და ბოლოს, კერძო საკუთრება ხელგაშლილობასა და კეთილგანწყობას ბადებს. იგი ადამიანს გაჭირვებაში მყოფ მოყვასის დახმარების საშუალებას აძლევს.

რომაული სამართლის ისეთ ნიმუშებში, როგორცაა „თეოდოსიანეს კოდექსის თორმეტი მუხლი“ და „იუსტინიანეს კორპუსი“, კერძო მესაკუთრეობის უფლება ლამის უზენაესადაა აღიარებული. უდავო მფლობელობის აღიარებამ საკუთრება წარმოშვა, წინარე გამოცდილებამ უპირატესი სარგებლობის უფლება ჩამოაყალიბა, მესაკუთრეს თავისი ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვა შეეძლო, ხოლო გარიგებებში შესვლის თავისუფლება აღიარებული იყო. ამასთან, რომაული სამართალი „სამოქალაქო“, ანუ რომაულ (ius civile) და „საერთაშორისო“ სამართალს (ius gentium) განასხვავებდა.

ამ კლასიკური ტრადიციის გაგრძელებაში ქრისტიანული მოძღვრების წვლილი კიდევ უფრო დიდია და ის წმინდა თომას აქვინელისა და გვიანდელი ესპანელი სქოლასტიკოსების, ისევე როგორც პროტესტანტი ჰუგო გროტიუსისა და ჯონ

ლოკის ნაშრომებში აისახა. რომისა და საბერძნეთის ცივილიზაციები მონათმფლობელობას ეფუძნებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ არისტოტელე მონათმფლობელობას ბუნებრივ დაწესებულებად მიიჩნევდა. ამისგან განსხვავებით, დასავლური, ანუ ქრისტიანული ცივილიზაციები, მიუხედავად რამოდენიმე გამონაკლისისა, ძირითადად თავისუფალი ადამიანების ცივილიზაციებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, თომას აქვინელისა და ლოკის მოსაზრებით, ყველა ადამიანს საკუთარი თავის განკარგვის უფლება (თავისუფლება) აქვს. უფრო მეტიც, არისტოტელე და ზოგადად კლასიკური ცივილიზაციები შრომას, ვაჭრობას და ფულის კეთებას პატივს არ სცემდნენ. ამის საპირისპიროდ, ძველი აღთქმაზე დაყრდნობით, ეკლესიამ შრომა და გარჯა განადიდა. შესაბამისად, აქვინელისა და ლოკისთვის ქონებრივი უფლების საფუძვლად სწორედ შრომა, მოხმარება და მანამდე აუთვისებელი მიწების განაყოფიერება წარმოადგენდა.

კერძო მესაკუთრეობის შესახებ კლასიკურ მოძღვრებას, რომელიც ადამიანის თავისუფლებას, თავდაპირველ ათვისებას (მკვიდრობას) და გარიგებებს ეფუძნებოდა, ჯ. ბ. სეის მსგავსი თვალსაჩინო მიმდევრები ყოველთვის ყავდა. თუმცა, მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე, ანუ როტბარდიანული (მარი როტბარდი. რედ. შენიშვ.) მოძრაობის წინ წამოწევამდე, კლასიკური თეორია მივიწყებული იყო.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ეკონომიკა და ეთიკა (პოლიტიკური ფილოსოფია) ბუნებითი სამართლის მოძღვრების საერთო ნიადაგს დაშორდა და თვალსაჩინოდ უნაყოფო მეცნიერულ განსჯებში გადაეშვა. ეკონომიკა „შეფასებითი მსჯელობისგან“ თავისუფალ „პოზიტიურ“ მეცნიერებად მოიაზრებოდა. იგი საკითხს ასე სვამდა: „რა საშუალებები განაპირობებს განსაზღვრულ (სასურველ) შედეგებს?“ ეთიკა „ნორმატიულ“ მეცნიერებად განიხილებოდა (თუ კი იგი საერთოდ მიიჩნეოდა მეცნიერებად). იგი საკითხს ასე სვამდა: „რა მიზნის (აგრეთვე საშუალებების) შერჩევა იქნება გამართლებული ადამიანისთვის?“ ასეთი დაშორების შედეგად, თავად საკუთრების კონცეფცია ორივე მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩა. ეკონომისტებისთვის საკუთრება ძალიან ნორმატიულად ჟღერდა, ხოლო პოლიტიკური ფილოსოფოსები საკუთრებას მეტისმეტად ყოფიერ საკითხად მიიჩნევდნენ. ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, მარი როტბარდი აღნიშნავდა, რომ ისეთი მარტივი ეკონომიკური ტერმინებიც კი, როგორცაა პირდაპირი ან არაპირდაპირი გაცვლა, ბაზრები და საბაზრო ფასები, ისევე როგორც ძალადობა, დანაშაული, ყაჩაღობა და თაღლითობა, საკუთრების შესახებ მოძღვრების გარეშე განსაზღვრასა და გააზრებას არ ექვემდებარება. არც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ცნობილი ეკონომიკური თეორემების შემუშავება გახდება შესაძლებელი, თუ ისინი არ იქნება დაფუძნებული

საკუთრებისა და საკუთრებითი უფლებების ცნებების აღიარებაზე. სათანადო განმარტება და საკუთრების შესახებ თეორიის განსაზღვრა ყველა სხვა ეკონომიკური ტერმინისა და თეორემის ჩამოყალიბებას წინ უნდა უძღოდეს.

მარი როთბარდის განუმეორებელი მეცნიერული წვლილი, 1960-იანი წლების დასაწყისიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე 1995 წელს, საკუთრებისა და საკუთრებითი უფლებების, როგორც ეკონომიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საერთო საფუძვლის ხელახალ აღმოჩენასა და თანამედროვე, ზღვრულ სარგებლიანობაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და ბუნებით სამართალზე დაფუძნებული პოლიტიკური ფილოსოფიის თანმიმდევრული აღორძინებისა და კონცეპტუალური შეხამების გზით, შეკრული მორალური მოძღვრების - ლიბერტარიანიზმის ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა.

## VI. ჩიკაგოს სკოლის გადახრები

დაახლოებით იმავე დროს, როდესაც მარი როთბარდი ეკონომიკურ მეცნიერებაში კერძო საკუთრების შესახებ მოძღვრების გადამწყვეტი მნიშვნელობის აღდგენითა და ეკონომიკისა და ეთიკის ხელახალი შერწყმით იყო დაკავებული, სხვა ეკონომისტები და სამართლის თეორეტიკოსები, მაგალითად, რონალდ ქოუზი, ჰაროლდ დემსეცი და რიჩარდ პოზნერი, რომლებიც ჩიკაგოს უნივერსიტეტთან იყვნენ დაკავშირებული, ასევე იმის მცდელობაში იყვნენ, რომ სამეცნიერო წრეების ყურადღება საკუთრებასა და ქონებრივ უფლებებზე გაემახვილებინათ.<sup>10</sup>

მაგრამ მაშინ, როდესაც როთბარდი თვლიდა, რომ კერძო საკუთრება და ეთიკა ლოგიკურად წინ უნდა უძღოდეს ეკონომიკურ მეცნიერებას, ჩიკაგოს სკოლის ხსენებული წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ კერძო საკუთრება და ეთიკა ეკონომიკურ მეცნიერებასა და სამეურნეო მიზანშეწონილობას ექვემდებარებიან. შესაბამისად, პოზნერის შეხედულებით, სამართლიანია ყველაფერი, რაც ხელს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს.<sup>11</sup>

განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის ქოუზის მიერ განხილული ერთ-ერთი მაგალითის საფუძველზე შეიძლება წარმოჩინდეს: რკინიგზა ფერმის გასწვრივ გადის. მატარებელი ნაპერწკალს ისვრის, რის გამოც ფერმას ალი ედება და მოსავალი ნადგურდება. რა უნდა გაკეთდეს?

კლასიკური თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, ფერმერი დასახლდა იქ უფრო ადრე თუ ჯერ რკინიგზა იქნა გაყვანილი? თუ პირველი ფერმერი იყო, მას შეუძლია აიძულოს, რომ რკინიგზამ მოქმედება შეაჩეროს და შეწყვიტოს, ან ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს. თუკი ჯერ რკინიგზა იქნა

გაყვანილი, მაშინ ის უფლებამოსილია ნაპერწკლების ფრქვევა გააგრძელოს და შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ფერმერმა რკინიგზას თანხა უნდა გადაუხადოს.

ქოუზის თვალსაზრისით ორგვარი პასუხი არსებობს. ქოუზის პირველი და “შეუვალი“ პასუხის შესაბამისად, არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ არის გადანაწილებული საკუთრებითი უფლებები და ვალდებულებები, რამდენადაც ისინი უკვე გადანაწილებულია და იმ (არარეალისტური) პირობით, რომ საოპერაციო ხარჯები ნულის ტოლია.

ქოუზს არასწორად მიაჩნია, რომ ფერმერსა ან რკინიგზაზე, როგორც „მართალსა“ ან „მტყუანზე“ (ანუ პასუხისმგებელზე), ან როგორც „მოძალადესა“ ან „მსხვერპლზე“ იფიქრო. „საკითხი, რომელიც უმეტეს შემთხვევებში განიხილება, იმას გულისხმობს, თუ როგორ შეიძლება შეიზღუდოს A პიროვნება, რომ მან B პიროვნებას ზიანი არ მიაყენო? მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა. ჩვენ საქმე ორმხრივი ხასიათის წინააღმდეგობასთან გვაქვს. B პიროვნების დაცვა A პიროვნებისთვის ზიანის მიყენებას გულისხმობს. ამ ვითარებაში მართებული კითხვა, რომელზედაც პასუხი იქნებოდა გასაცემი, შემდგომში მდგომარეობს: A და B პიროვნებებს შორის, რომელს უნდა მიენიჭოს უფლება, რომ მეორეს ზიანი მიაყენოს? ძირითადი საკითხი ხომ უფრო მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილებაა“<sup>12</sup>.

შემდეგ, თუ გავითვალისწინებთ, რომ A და B პიროვნებები მორალურად თანასწორუფლებიანები არიან, ეკონომიკური რესურსების გადანაწილებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომლის საკუთრებითი უფლებები განისაზღვრა უფრო ადრე. დავუშვათ, ფერმერის მიერ ხორბლის განადგურების მიყენებული ზარალი 1000 ამერიკული დოლარია, ხოლო მატარებლის ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობის ღირებულება 750 ამერიკული დოლარია. თუკი მიჩნეული იქნება, რომ ხორბლის განადგურებაზე პასუხისმგებელი B პიროვნებაა, მაშინ ის ან ნაპერწკლებისგან დამცავ მოწყობილობას დააყენებს მატარებელზე, ან შეწყვეტს საქმიანობას. თუ B პიროვნება უდანაშაულოა, მაშინ A პიროვნებამ მას 750-იდან 1000 ამერიკულ დოლარამდე უნდა გადაუხადოს, რომ მან მატარებელზე ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობა დააყენოს. ორივე შემთხვევაში დანადგარი უნდა იქნას შექმნილი. ეხლა მოდით საწინააღმდეგო ვითარება წარმოვიდგინოთ: ხორბლის განადგურებით მიყენებული ზარალი 750 ამერიკული დოლარია, ხოლო ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობა კი 1000 ამერიკული დოლარი ღირს. თუკი ზარალზე პასუხისმგებელი B პიროვნებაა, იგი 750 ამერიკულ დოლარს კი გადაიხდის, მაგრამ ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობას არ დააყენებს. ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ B პიროვნება ზარალზე პასუხისმგებელი არ არის, A

პიროვნებას არ ძალუძს, რომ B პიროვნებას ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობის დაყენებისთვის საკამრისი თანხა გადაიხადოს. ანუ, ორივე შემთხვევაში შედეგი ერთია: ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობა შექენილი არ იქნება. შესაბამისად, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ იყო გადანაწილებული საკუთრებითი უფლებები თავდაპირველად, კოუზის, დემსეცის და პოზნერის მიხედვით, წარმოების ფაქტორების გადანაწილება ერთნაირი იქნება.

მეორე და „ნორმატიული“, ანუ საოპერაციო ხარჯების რეალისტური შემთხვევის პირობებში, ქოუზის, დემსეცის და პოზნერის მიხედვით სასამართლოებმა საკუთრებითი უფლებები მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის ისე უნდა გადაანაწილონ, რომ შედეგად, „სიმდიდრის“ ანუ „საწარმოო ღირებულების“ მაქსიმიზაცია იყოს უზრუნველყოფილი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ თუ ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე მოსავლის ღირებულება, მაშინ სასამართლომ ფერმერს უნდა დაუჭიროს მხარი და რკინიგზამ გასწიოს დანახარჯები. ხოლო თუ ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე განადგურებული ხორბლის, მაშინ სასამართლომ რკინიგზას უნდა დაუჭიროს მხარი და ფერმერმა ხარჯები გასწიოს. პოზნერს სხვა მაგალითიც მოჰყავს. ქარხანა გამონაბოლქვს უშვებს, რის გამოც გარშემო არსებული საცხოვრებელი სახლების ღირებულება მცირდება. თუ საკუთრების ღირებულება 3 მილიონით შემცირდა, ხოლო ქარხნის სხვაგან გადატანის ღირებულება 2 მილიონი იქნება, მაშინ პასუხისმგებლობა ქარხანას დაეკისრება და იგი გადატანილი უნდა იქნას. მაგრამ თუ ეს თანხები პირიქით გადანაწილდება, მაშინ ქარხანა ადგილზე უნდა დარჩეს და გამონაბოლქვის გამოფრქვევა გააგრძელოს.

ჩიკაგოს სკოლის ეკონომისტებისა და სამართლის თეორეტიკოსების ორივე, ანუ როგორც პოზიტიური, ასევე ნორმატიული მოსაზრებები, უარყოფილი უნდა იქნას,<sup>13</sup> რადგანაც იმის მტკიცება, რომ არა აქვს მნიშვნელობა თუ ვისი საკუთრებითი უფლებები განისაზღვრა უფრო ადრე, არასწორია და ამ შემთხვევაში სამი პასუხი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, თავად კოუზი აღიარებდა, რომ ფერმერისთვის და რკინიგზისთვის ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ვისი უფლება იქნება აღიარებული. ანუ, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორ არის რესურსები გადანაწილებული, არამედ ისიც, თუ ვინ ფლობს მათ.

მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ წარმოების საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით, ნამდვილად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ არის განსაზღვრული საკუთრებითი

უფლებები. წარმატებული საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსები, ნაჩუქარი როდია. ისინი თავის მხრივ იმ ძალისხმევის შედეგებს წარმოადგენენ, რომელიც მათ ათვისებასა და წარმოებაზე დაიხარჯა, ხოლო მათი შედეგები ამთვისებლებისა და მწარმოებლების უკუგებაზე (მოტივაციაზე) იყო დამოკიდებული. თუ ამთვისებლები და მწარმოებლები ყოველივე იმას, რაც აითვისეს და აწარმოეს სრულფასოვად ფლობენ, ანუ თუ მომდევნო და კიდევ უფრო შემდგომ მოსულების მიმართ არავითარი ვალდებულება არა აქვთ, მაშინ სიმდიდრე მნიშვნელოვნად გაიზრდება. მეორე მხრივ, თუ თავდაპირველ მესაკუთრეები და მწარმოებლები, შემდომი მოსულების მიმართ ვალდებულები იქნებიან, როგორც ეს ქოუზის „ზიანის ორმხრივობის“ მოძღვრებაში იგულისხმება, მაშინ საწარმოო ღირებულება შემცირდება იმასთან შედარებით, რაც მანამდე იყო. ანუ, მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ „არა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ არის მკვიდრი მესაკუთრე“, სიმდიდრის გაზრდის განცხადებული მიზნის საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა.

მესამე: ქოუზის მტკიცება, რომ საკუთრების საწყისი განაწილება რესურსების გამოყენებაზე გავლენას არ ახდენს, არასწორია. ძალიან ადვილია ამის საწინააღმდეგო მაგალითების მოყვანა. წარმოიდგინეთ, რომ ფერმერი მატარებლიდან გამოსტყორცნილი ნაპერწკალის შედეგად 1000 ამერიკული დოლარის ღირებულების ხორბლის ზარალს არ განიცდის, მაგრამ სამაგიეროდ მისი ყვავილების ბაღი ზიანდება. ფერმერისთვის ზარალის მოცულობა 1000 ამერიკული დოლარის ტოლფასია, ხოლოს სხვისთვის ეს ბაღი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. თუ სასამართლო პასუხისმგებლობას რკინიგზას დააკისრებს, მაშინ 750 ამერიკული დოლარის ღირებულების ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობა უნდა დამონტაჟდეს.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ რკინიგზა არ არის პასუხისმგებელი, მაშინ ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობა არ იქნება დაყენებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფერმერს რკინიგზის მოსასყიდი სახსრები არ გააჩნია. საკუთრებითი უფლებების საწყისი განაწილება რესურსების განთავსებაში განსხვავებებს განაპირობებს.

შესაბამისად, ჩოკაგოს სკოლის ეკონომისტებისა და სამართლმცოდნეების ნორმატიული მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, რომელიც სასამართლოებს საკუთრებითი უფლებების განსაზღვრას საზოგადოებრივი სიმდიდრის გაზრდის ამოცანიდან გამომდინარე ავალებენ, სამი მტკიცებულების მოყვანა შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, სარეგლიანობის პიროვნებათაშორისი შეფასება მეცნიერულად შეუძლებელია, მაგრამ სასამართლოები ნებით თუ უნებლიეთ ჩართული უნდა იყვნენ შეფასებებში, რამდენადაც ისინი დანახარჯებისა და უკუგების გათვლებში არიან ჩართული. ასეთი გათვლები შეიძლება

მიკერძოებული იყოს, რადგანაც ისინი ამა თუ იმ ადამიანის ვარაუდს ეფუძნება. ასე მაგალითად, მათი ვარაუდით შესაძლებელია სულიერი ხარჯების უგულვებელყოფა, ხოლო ფულის ზღვრული სარგებლიანობა მუდმივი და ყველასთვის თანაბარია.

მეორე: როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელი ხდება, სასამართლოები ქონებრივ უფლებებს საბაზრო ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ. თუ ნაპერწკლებისგან დამცავი მოწყობილობის ღირებულება უფრო იაფი იქნება, ვიდრე მიყენებული ზიანის მოცულობა, მაშინ ფერმერის საკუთრების უფლებას ენიჭება უპირატესობა, ხოლო თუ მოწყობილობის ღირებულება მიყენებულ ზარალზე უფრო მაღალი იქნება, მაშინ რკინიგზის სიმართლე იქნება აღიარებული. ამგვარად, საკუთრებითი უფლებების გადანაწილება სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად მოხდება. ვერაფერს ვერ იქნება დარწმუნებული თავის ქონებრივ ხელშეუხებლობაში.<sup>14</sup> სამართლებლივი გაურკვეველობა მუდმივი გახდება. ეს არც სამართლიანია და არც ეკონომიური. უფრო მეტიც, რომელი საღ გონებაზე მყოფი ადამიანი მიმართავს სასამართლოს, რომელსაც გაცხადებული აქვს, რომ შეუძლია საკუთრებითი უფლებები საბაზრო ვითარების ცვლილებებს მიუსადაგოს?

და ბოლოს, ეთიკა გარემოებების ცვლილებების მიუხედავად არა მარტო მუდმივი და მდგრადი უნდა იყოს, არამედ, მაგანს საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ გადაწყვეტილება „ავკარგოების“ შესახებ მანამდე მიიღოს, სანამ რაიმეს მოიმოქმედებს და ის უნდა ეხებოდეს იმას, რაზედაც ადამიანის გავლენა ვრცელდება. ასეთია კერძო საკუთრების ეთიკის მიმართ კლასიკური მიდგომა, რომელიც „პირველი მივიდა, პირველმა ისარგებლა“ წესს ეფუძნება. ამ ეთიკის შესაბამისად, სამართლიანი მოქმედება ნიშნავს, რომ პიროვნება მხოლოდ კანონიერად შეძენილ ქონებით სარგებლობს, ანუ იმით, რაც მან აითვისა, აწარმოა ან წინა მფლობელისგან გარიგების შედეგად მიიღო, ამასთან ის მათ იმგვარად იყენებს, რომ სხვა ადამიანების ქონებას არ ხელყოფს (ფიზიკური ზიანს არ აყენებს). ყველა ადამიანს შეუძლია *ex ante* (წინასწარ რედ. შენიშ.) განჭვრიტოს დაცულია თუ არა აღნიშნული პირობები და მას აქვს უნარი, რომ ივარაუდოს ფიზიკურად დააზიანებს თუ არა მისი ქმედებები სხვების საკუთრებას. სიმდიდრის მაქსიმიზაციის ეთიკა კი სრულიად საპირისპირო შედეგებს იძლევა და ვერცერთ ზემოთხსენებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია *ex ante* განჭვრიტოს არის თუ არა მისი ქმედებები სიმდიდრის მაქსიმიზაციასკენ მიმართული. ამის დადგენა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, მხოლოდ *ex post* (შედეგების მიხედვით რედ. შენიშ.) შეიძლება. არც იმის გათვლა ძალუძს ვინმეს გაზრდის თუ არა მისი ქმედებები საზოგადოებრივ დოვლათს. სურთ თუ არა ეს მათ, ისინი სხვა

ადამიანების ქმედებებსა და შეფასებებზეა დამოკიდებული. და კვლავაც, რომელი საღ გონებაზე მყოფი ადამიანი მიმართვს განსასჯელად ისეთი სასამართლოს, რომელიც იმის მაგივრად, რომ წინასწარ განმარტოს, თუ რომელი ქმედებებია კანონიერი და როგორ შეიძლება უსამართლო ქმედებებისთვის თავის არიდება, გადაწყვეტილებებს ex post, შედეგების მიხედვით იღებს?

1. იხილეთ V ნაწილი.

2. იხილეთ მარი როთბარდის „ადამიანი, ეკონომიკა და სახელმწიფო A (Auburn, al: Mises Instuttue, 1993 [1962]); იგივე ავტორის „ძალაუფლება და ბაზარი“ (Kansas City: Sheed Andrews & McMeel, 1977 [1970]), იგივე ავტორის „თავისუფლების ეთიკა“ (New York: New York University Press, 1998 [1982]; იგივე ავტორის „ეგალეტარიანიზმი, როგორც აჯანყება ბუნების წინააღმდეგ და სხვა ნაშრომები“ (Auburn, al: Mises Instuttue, 2000 [1974]; იგივე ავტორის „მოქმედების ლოგიკა“, 2 ტომი (Cheltenham, UK: Edward Elgar, 1977). 3. იხილეთ ჰანს-ჰერმან ჰოპეს „სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თეორია“ (Boston: Kluwer Academic Publishers, 1989), იგივე ავტორის „კერძო საკუთრების ეკონომიკა და ეთიკა (Boston: Kluwer Academic Publishers, 1993).

4. მიაქციეთ ყურადღება, რომ საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგობების მოგავრება “ბუნებითი სამართლის“ საფუძველზე, იმაში მდგომარეობს, რომ კერძო საკუთრება და მისი დაუფლება დამკვიდრების შედეგად (ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების ბუნებიდან გამომდინარე) აუცილებელ, თუმცა წინასწარი შეთანხმებულ დაწესებულებას წარმოადგენს. რადგანაც იგი ეს თავიდანვე არსებული და გაგრძელებული სქემა დასახულ მიზნებს პასუხობს და მისი ალტერნატივის გამოძებნა შეუძლებელია. მაგალითად, ლათინური ანბანი წერითი კომუნიკაციის საშუალებაა. მას აქვს ალტერნატივა კირილიცას სახით. შესაბამისად, ეს მიღებული და აღიარებული ჭეშმარიტებაა.

რა მიზანი გააჩნია ნორმებს? მწირი ფიზიკური საგნების და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაპირისპირებების დაშოშმინება. დაპირისპირებების წარმომშობი წესების არსებობას თვით წესების არსს ეწინააღმდეგება. მაგრამ რაც დაპირისპირებების თავიდან აცილებას შეეხება, კერძო საკუთრების და უპირატესი ფლობის უფლების აღიარებაზე უკეთესი გამოსავალი არ არსებობს. თუ მონაწილეებს შორის თანხმობის განმაპირობებელი გარემოებები არ არსებობს, მაშინ დაპირისპირებების დაშოშმინების ერთადერთი საშუალება კერძო საკუთრების აღიარებაა, რის შედეგადაც ყველამ შესანიშნავად იცის თუ ვის რა ეკუთვნის. გარდა ამისა, კონფლიქტების თავიდან აცილება კაცობრიობის არსებობის დღიდანვე მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როდესაც კერძო საკუთრების შემენა პირველადი ათვისების შედეგად (და არა შემდგომ მოსული ადამიანების სიტყვიერი განცხადებების საფუძველზე) არის შესაძლებელი.

5. რადგანაც ვერავინ ვერ იმოქმედებს, როდესაც საერთო საკუთრება არსებობს, მაშინ შესაძლებელი ხდება რომ ერთმა ადამიანმა, მაგალითად A პიროვნებამ ან ადამიანთა ჯგუფმა განსაზღვრონ თუ რა უნდა აკეთოს B პიროვნებამ და მის ქმედებებზე ზედამხედველობა დააწესებენ. ეს კი ნიშნავს, რომ B ადამიანი არ ფლობს არც თავის ფიზიკურ შესაძლებლობებს და არც მის მიერ წარმოებულ დოვლათს. ანუ B ადამიანი და მისი საკუთრება A ადამიანს ეკუთვნის. ამ წყობის დამკვიდრება შესაძლებელია, მაგრამ იგი არ შეესაბამება ეთიკის ნორმებს. პირიქით, ეს ის ორსაფეხურიანი წყობაა, სადაც ჩაგრულები და მჩაგვრელები არსებობენ.

. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მარი ნ. როთბარდის “ეკონომიკა, როგორც იგი ადამ სმითამდე მოიარსებოდა, ავსტრიული სკოლის თვალსაზრისი ეკონომიკის ისტორიაზე“ I ტომი (Aldershot, UK: Edward Elgar, 1995), აგრეთვე ტომ ბეთელის “კეთილშობილების ზეობა, საკუთრება და კეთილდღეობა საუკუნეების განმავლობაში“ (New York: St. Martin’s Press, 1998).

7. არისტოტელე, პოლიტიკა (Oxford: Clarendon press, 1946), 126ბ.

8. იქვე, 1263 ა.

9. იქვე, 1263 ბ.

10. იხილეთ რონალდ ქოუზის “საწარმო, ბაზარი და კანონი (Chicago, University of Chicago Press, 1988) და ჰაროლდ დემსეცის “საკუთრება, კონტროლი და საწარმო“ (Oxford: Basil Blackwell, 1988); რიჩარდ პოზნერის “სამართლის ეკონომიკა“ (Cambridge: Harvard University press, 1981).

11. რიჩარდ პოზნერის “სამართლის ეკონომიკა“, გვ. 74. “უსამართლო გადაწყვეტილებად (განსაზღვრების შესაბამისად) მიიჩნევა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოების სიმდიდრეს ამცირებს“. 2. რონალდ ქოუზის “სოციალური ღირებულების პრობლემა“, იქვე: “საწარმო, ბაზარი და კანონი“, გვ. 96. ამ მტკიცების მორალური მიუღებლობა ყველაზე ნათლად იმ შემთხვევის მაგალითზე ჩანს, როდესაც A პიროვნება B პიროვნებას აუპატიურებს. კოუზის მიხედვით, A პიროვნების უფლებები არ უნდა შეიზღუდოს. იგი ამტკიცებს, რომ “ამ შემთხვევაში ორივე მხარე იღებს მონაწილეობას ქმედებაში“. ანუ, თუ A პიროვნებას ხელს შევუშლით B პიროვნების გაუპატიურებაში, მაშინ მისი ინტერესები უგულვებელყოფილი იქნება და მას გაუპატიურების თავისუფლად გააგრძელება აღარ შეეძლება. მაგრამ კითხვა ასე უნდა დაისვას: გააჩნია კი A პიროვნებას B პიროვნების გაუპატიურების უფლება, ან აქვს თუ არა B პიროვნებას უფლება, რომ თავი დაიცვას A პიროვნების მხრიდან მისი გაუპატიურების მცდელობისგან? “საკითხი უფრო სერიოზული ზიანის თავიდან აცილებას ეხება“.

13. ასევე იხილეთ უალთერ ბლოკის “კოუზი და დემსეცი კერძო საკუთრების უფლების შესახებ“, “ლიბერტარიანული კვლევების ჟურნალი“, ტომი 1, N#2, 1977. იგივე, “ეთიკა, ეფექტურობა და საკუთრების უფლება კოუზის მიხედვით: პასუხი ჰაროლდ დემსეცისადმი“, “ავსტრიული ეკონომიკის მიმოხილვა“, ტომი 8, #2, 1995, იგივე, “კერძო საკუთრების უფლება, მცდარი წარმოდგენები, მორალი და ეკონომიკა“, “ავსტრიული ეკონომიკის ყოველკვარტალური ჟურნალი“, ტომი 3, #1, 2000. ჰერი ნორდი, “კოუზის თეორემა: წარმომავლობის კვლევა“ (Tyler, Texas: Institute for Christian Economics, 1992); იგივე, “საკუთრების უფლების უგულვებელყოფა: კოუზი და ბეკერი“, “ლიბერტარიანული კვლევების ჟურნალი“, ტომი 16, #4.

14. პოზნერი, “სამართლის ეკონომიკა“ გვ. 70-71, მომაჯადოებელი გულწრფელობით აღიარებს, რომ “უზენაესი უფლებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართლის ეკონომიკურ თეორიაში... მაგრამ როდესაც გარიგების ღირებულება ძალიან მაღალია, უზენაესი უფლებების აღიარება არახელსაყრელი ხდება... მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება უზენაესი უფლებაა, იგი გარიგების ფასზე დამოკიდებული და სიმდიდრის მაქსიმიზაციის მიზანს უნდა ექვემდებარებოდეს.“